პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 38-ე წელი | № 267 (11271) | ოთხშაბათი, 19 ნოემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ხალხის მრავალმილიონიანი მასების ცოცხალი შემოქმედებითი საქმიანობაა. საბჭოთა ხალხმა ახალი შვიდწლიანი გეგმა მიიღო როგორც თავისი სასიცოცხლო, მშობლიური საქმე.

ახალი ეტაპი საბჭოთა სკოლის ცხოვრებაში

„პრავდის" 18 ნოემბრის მოწინავე

18 ნოემბერს „პრავდაში" გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისები „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ", რომლებიც მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და წარმოადგენენ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტს. საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის პროგრამა, რომელიც მოცემულია თეზისებში ფაქიზად მჭიდროდ დაკავშირებულია კომუნისტური მშენებლობის ახალ დიდებულ ამოცანებთან, რომლებიც დასახულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ.

საბჭოთა სკოლამ მოამზადა მილიონობით განათლებული, კულტურული მოქალაქე, სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე. მან გამოზარდა თვალსაჩინო მეცნიერთა, ინჟინერთა, კონსტრუქტორთა შესანიშნავი კადრები, ვისაც ეპყრობა და შემოქმედებითი შრომა განსაზღვრულია საბჭოთა კავშირის ისტორიული მეცნიერულ-ტექნიკური გამარჯვებებით. მაგრამ საბჭოთა ადამიანები ვერ დასჯერდებიან მიღწეულს. ცხოვრება სკოლას უსახავს ახალ გადიდებულ ამოცანებს.

ჩვენ შევდივართ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. საბჭოთა კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური განვითარების უახლესი და შორეული პერსპექტივები სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ჩვენი საზოგადოების ყველა შრომელს. ამავე დროს ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლები ჩამორჩებიან კომუნისტური მშენებლობის მოთხოვნებს, მათ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XX ყრილობაზე აღნიშნული იყო, რომ ჩვენი სკოლის სერიოზული ნაკლია სწავლების ერთგვარი მოწყვეტა ცხოვრებისაგან, სკოლის კურსდამთავრებულთა ცუდი მომზადება პრაქტიკული საქმიანობისათვის. სკოლის გარდაქმნის გზები დასახული იყო ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ბაროსში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისადმი „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ". ამ ბარათში მოყვანილი წინადადებანი მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და მათ მხურვალედ დაუჭირა მხარი საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის არსი ის არის, რომ სწავლება შეუერთდეს მწარმოებლურ შრომას. ამასთან აუცილებლად ამაღლდეს ჩვენი მოზარდი თაობის როგორც სწავლის, ისე აღზრდის დონე. ისტორიულ სიტყვაში კომკავშირის III ყრილობაზე ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ ახალგაზრდობა არ უნდა ჩაიკეტოს სკოლაში, არამედ მთელი თავისი სწავლა და განათლება შეუერთოს მუშათა და გლეხთა შრომას. სწავლისა და მწარმოებლური შრომის შეერთების პრინციპი დაფორმულებულია კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებში. განვითარებული და დაკონკრეტებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებში. ამ ისტორიულ დოკუმენტში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ გარკვეული ასაკიდან მთელი ახალგაზრდობა უნდა ჩაებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მის მიერ მეცნიერებათა საფუძვლების შესწავლა დაუკავშირდეს მწარმოებლურ შრომას მრეწველობაში ან სოფლის მეურნეობაში.

უდავო, ძვირფასი და პერსპექტიულია რუსეთის სფსრ, უკრაინისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მთელ რიგ სკოლებში სწავლებისა და მწარმოებლური შრომის შეერთების უკვე შეძენილი გამოცდილება. მაგალითად, სტავროპოლის მხარეში წარმოიშვა შესანიშნავი ინიციატივა — შეიქმნა მოსწავლეთა ბრიგადები კოლმეურნეობებში. ბრიგადებს აკომპლექტებენ 8-9 კლასების მოსწავლეთაგან. მოწინავე სკოლების გამოცდილების ღრმა შესწავლა, რომლებმაც სწავლა შეაერთეს წარმოებასთან და შრომასთან, ხელს შეუწყობს სახალხო განათლების გარდაქმნის წარმატებით განხორციელებას.

თეზისებში რეკომენდებულია საშუალო განათლება გაიყოს ორ ეტაპად. საშუალო განათლების პირველი ეტაპი უნდა იყოს სავალდებულო რვაწლიანი სკოლა, რომელიც შეიქმნება ამჟამად არსებული შვიდწლიანი სკოლის ნაცვლად. სავალდებულო რვაწლიანი სკოლა შვიდწლიან სკოლასთან შედარებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება წინ სახალხო განათლების განვითარებაში. რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენ ახალგაზრდობა უნდა ჩაებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში საწარმოებში, კოლმეურნეობებში და სხვ.

ხრულ საშუალო განათლებას ახალგაზრდობა მიიღებს სწავლების მეორე ეტაპზე. საშუალო განათლების დამთავრება სწავლებისა და მწარმოებლური შრომის შეერთების საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს მუშა და გლეხი ახალგაზრდობის სკოლებში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომის პოლიტექნიკურ სკოლაში საწარმოო სწავლებით (საფაბრიკო-საქარხნო და სასოფლო-სამეურნეო შეგირდობის სკოლების ტიპისა), ტექნიკუმებში, რომლებიც მუშაობენ რვაწლედის ბაზაზე.

სულ უფრო მეტად ვითარდება სკოლა-ინტერნატები, რომლებშიც იქმნება მოზარდი თაობის სწავლისა და კომუნისტური აღზრდის ყველაზე ხელსაყრელი პირობები. საშუალო განათლების მეორე ეტაპის ზემოთ აღნიშნული სკოლების გარდა მიზანშეწონილია დარჩეს სკოლები ბავშვებისათვის, რომლებიც ყველაზე ნიჭიერები არიან მუსიკის, ქორეოგრაფიისა და სახვითი ხელოვნების დარგში. თეზისებით რეკომენდებულია განხილულ იქნეს სპეციალიზებული სკოლების შექმნის საკითხი ახალგაზრდობისათვის, რომელსაც განსაკუთრებული მიდრეკილება და უნარი აქვს მათემატიკაში, ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში.

სკოლის გარდაქმნის შედეგად სრულიადაც არ უნდა შემცირდეს ან შესუსტდეს ჰუმანიტარული განათლება, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. კიდევ უფრო იზრდება სკოლის აღმზრდელობითი ამოცანები, სასკოლო პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების როლი. ამასთან უნდა გადავლახოთ მოსწავლეთა ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდის შეუფასებლობა, კიდევ უფრო ფართოდ უნდა განვავითაროთ ახალგაზრდობის სხვადასხვა ფორმის თვითმოქმედება ტექნიკის, ხელოვნების, ნატურალისტური მუშაობის, ფიზკულტურისა და სპორტის, ტურიზმის დარგში.

თეზისებში ხაზგასმულია, რომ სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა უნდა განხორციელდეს გეგმაზომიერად და ორგანიზებულად რამდენიმე წლის განმავლობაში ადგილობრივ თავისებურებათა მაქსიმალური გათვალისწინებით. ამასთან არა თუ არ უნდა იქნეს დაშვებული სკოლებით მოსახლეობის მომსახურების რაიმე გაუარესება, არამედ, პირიქით, საჭიროა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ ახალგაზრდობის უფრო ფართო მასებმა მიიღონ სრული საშუალო განათლება მათთვის ყველაზე მოსახერხებელი ფორმებით. **პარტია ისწრაფვის, რომ ყველა მუშას, კოლმეურნეს ჰქონდეს საშუალო განათლება, ეს ამოცანა მიჩნეა შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი გადიდების პირობად და, მაშასადამე, კომუნიზმის წარმატებით მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად.**

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის თეზისებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების "1959-1965 წლებს საკონტროლო ციფრების შესახებ დასახულია სახალხო განათლების მნიშვნელოვანი განვითარება. მოსწავლეთა რიცხვი დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში 1965 წელს გაიზრდება 38-40 მილიონ კაცამდე ნაცვლად 30 მილიონი კაცისა 1958 წელს. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს მოსწავლეთა რიცხვი მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სკოლებში, აგრეთვე მოზრდილთა სკოლებში. მოსწავლეთა რიცხვი სკოლა-ინტერნატებში 1965 წელს შეადგენს სულ ცოტა 2 მილიონ 500 ათას კაცს ნაცვლად 180 ათასი კაცისა 1958 წელს, ეხე იგი გაიზრდება 14-ჯერ. 1959-1965 წლებში უმაღლესი სასწავლებლებიდან გამოშვებული იქნება 2 მილიონ 300 ათასი სპეციალისტი ნაცვლად 1 მილიონ 700 ათასი კაცისა 1952-1958 წლებში.

თეზისებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომ სრულყოფას სსრ კავშირში. უმაღლესი განათლების სისტემის გარდაქმნის მიზანი უნდა იყოს სპეციალისტთა უკეთესი პრაქტიკული დ თეორიული მომზადების უზრუნველყოფა, მან ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, სტუდენტთა კომუნისტურ აღზრდას. უმაღლეს სასწავლებლებში უნინარეს ყოვლისა უნდმივიღოთ ახალგაზრდობა, რომელსაც პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვს, უნდა შევუქმნათ უკეთესი პირობები ახალგაზრდა მუშებსა და კოლმეურნეებს იმისათვის, რომ მოემზადონ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. უმაღლეს სკოლაში სწავლების პრაქტიკასთან, შრომასთან შეერთების კონკრეტული ფორმები უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორია უმაღლესი სასწავლებლის პროფილი, სტუდენტთა შემადგენლობა, აგრეთვე მთელ რიგ ეროვნულ და ადგილობრივ თავისებურებათა მიხედვით. ჩვენი უმაღლესი სკოლის განვითარებაში სულ უფრო მზარდ როლს უნდა ასრულებდეს საღამოს და დაუსწრებელი განათლება.

თეზისებში ხაზგასმულია, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლება. მარქსიზმ-ლენინიზმის სწავლებას უნდა ჰქონდეს შემოქმედებითი, შემტევი, მებრძოლი ხასიათი. უნდა აღვზარდოთ ჩვენი ახალგაზრდობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისადმი და რევიზიონიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნა ეხება მილიონობით ადამიანს. მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებს. ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ მიიჩნიეს დააყენონ ეს თეზისები საყოველთაო სახალხო განხილვისათვის. ეს შესაძლებელს გახდის სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის კონკრეტული გზების საბოლოოდ განსაზღვრის დროს უფრო სრულად გამოვიყენოთ მოწინავე სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პრაქტიკა, რომლებმაც უკვე მოიპოვეს გარკვეული წარმატებები ახალგაზრდობის შრომითს აღზრდაში. და საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეების წინადადებანი.

დასახული გარდაქმნა აამაღლებს სკოლის როლს ახალგაზრდობის განათლებასა და აღზრდაში. უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგისათვის. დიდებული აღმშენებლობითი გეგმების განხორციელებისათვის სსრ კავშირში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში.

რედაქციისაგან

გაზეთ „კომუნისტის" 14, 15 და 16 ნოემბრის ნომრებში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დოკუმენტები: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები" და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისების პროექტი — „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ".

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად ჩვენი ქვეყნის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, საწარმოებში, მშენებლობებზე, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, გაზეთების ფურცლებზე დაიწყო ამ თეზისების საყოველთაოსახალხო განხილვა.

გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე სისტემატურად გამოქვეყნდება სტატიები, მშრომელთა წინადადებები, თეზისების განხილვის მასალები.

შვიდწლიანი გეგმა—პარტიის ლენინური ხაზის ახალი მკაფიო გამოხატულებაა

10.000 ტონა ქვანახშირი გეგმის ზევით

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). შახტებსა და საწარმო-დაწესებულებებში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალებმა.

მეშახტეებს შორის აგიტატორები მართავენ საუბრებს პარტიის მომავალ XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ.

— მშობლიური პარტიის ყოველი ახალი ღონისძიება, — განაცხადა პლენუმის მასალების გაცნობისას № 4 შახტის ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. ჩიხლაძემ, — მშრომელთა კეთილდღეობისაკენ არის მიმართული. ჩვენი ვალია პარტიისა და მთავრობის ზრუნვას ვუპასუხოთ მაღალნაყოფიერი შრომით.

გ. ჩიხლაძემ ბრიგადის სახელით ვალდებულება იკისრა ყოველდღიური საწარმოო დავალება 180-200 პროცენტით გაანაღდოს და ყოველთვიურად ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 250 ტონისა სამშობლოს მისცეს 450-500 ტონა ქვანახშირი.

მეშახტეებმა გადაწყვიტეს წელს საწარმოო გეგმის ზევით სახელმწიფოს მისცენ 10.000 ტონა ქვანახშირი.

კლასგმასის წარმოების გასაფართოებლად

საქართველოს წიაღი და ბუნება მდიდარია ყოველი დოვლათით, მათ შორის პოლიმერული ნედლეულითაც. ჩვენ შეგვძლებთ ეს ბუნებრივი რესურსები ჩავაყენოთ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის სამსახურში, გამოვუშვათ ახალი სახის პლასტმასის ნაწარმი მშენებლებისათვის — შენობათა ჭერის, იატაკისა და კედლების მოსაპირკეთებლად, კვების მრეწველობის მუშაკებისათვის — ძვირადღირებული საიმპორტო კორპის ნაცვლად პლასტმასის კორპის გამოსაყენებლად, დიასახლისებისათვის — პლასტმასის ლამაზი ნაკეთობებით ყოფაცხოვრების დასამშვენებლად. ასე განაცხადეს თბილისის პლასტმასის ქარხნის წენეფორმების საამქროში მომუშავეებმა — ა. გიგაურმა, თ. ნაცვლიშვილმა და სხვ. სკკპ ნოემბრის პლენუმის მასალების გაცნობის შემდეგ.

ქარხნის კოლექტივში პლენუმის მასალების გაცნობის დღეებში საგრძნობი გახდა მასების საწარმოო აქტივობის გაძლიერება. უკვე შეუდგნენ მუშაობას პლასტმასის ახალ სახეობათა ნაწარმის გამოსაშვებად, გამართეს პლასტმასის სამსხმელო ახალი მანქანების პირველი წყება და წარმატებით მუშაობენ სხვა მანქანების დამონტაჟებაზე, შეუდგნენ მზადებას ე. წ. ფენოლიტისაგან მოსაპირკეთებელი ფილა-ფურცლების წარმოებაზე გადასასვლელად.

თბილისის „საქტრიკოტაჟის" ფაბრიკის საწინდე საამქროს მუშები ეცნობიან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს.

ფოტო თ. არჩვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

სამგორი. (სპეც. კორ.). რაიონის მშრომელები განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების პროექტს.

მინდვრებში, მეცხოველეობის ფერმებში, კოლმეურნე მექანიზატორებთან, მებოსტნეებთან აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა უკვე დაიწყეს ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის ფართო პროპაგანდა. სოფელ მარტყოფის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანმა, კომკავშირელმა შ. ჭილაშვილმა განაცხადა:

— ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტია. მათში დასახულია სოციალისტური სოფლის მძლავრი აღმავლობის ახალი, ნათელი პერსპექტივები. ჩვენი კოლმეურნეობის წევრები შემდგომშიც თავდადებით იბრძოლებენ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის, მშვიდობისათვის.

პარტიის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა რაიონის — სამგორის რაიონის ამ კოლმეურნეობაშიც ახალი ძალით გაჩაღდა შემოქმედებითი შრომა. კოლმეურნეები, მექანიზატორები პირნათლად ასრულებენ პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

ჯეჯიბრეგაში გამარჯვებულნი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია მიენიჭათ გურჯაანისა და ბათუმის რაიონებს მეცხოველეობის დარგში ჯეჯიბრეგაში გამარჯვებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს მეცხოველეობაში სოციალისტური შეჯიბრების 1958 წლის 9 თვის შედეგები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 25 ათასი მანეთის ოდენობით აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს შორის მიენიჭა **გურჯაანის რაიონს.** რაიონმა უზრუნველყო წარმოება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე: ხორცისა — 27,3 ცენტნერი (აქედან ღორის ხორცისა 100 ჰექტარ ხნულზე — 29 ცენტნერი), რძისა — 110 ცენტნერი; გაადიდა პროდუქტიული პირუტყვის სულადობა გასული წლის 1 ოქტომბერთან შედარებით: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 6,6 პროცენტით (აქედან ძროხისა — 7,5 პროცენტით), ღორისა — 3,3 პროცენტით, ცხვრისა — 7,6 პროცენტით; შეასრულა ხორცის დამზადების წლიური გეგმა 96 პროცენტით, რძისა — 100,3 პროცენტით, კვერცხისა — 102,3 პროცენტით, მატყლისა — 112,1 პროცენტით.

მეორე ადგილი მიენიჭა **წალკის** რაიონს, რომელმაც გასული წლის 1 ოქტომბერთან შედარებით გაადიდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 8,2 პროცენტით (აქედან ძროხისა — 8 პროცენტით), ცხვრისა — 8,1 პროცენტით; შეასრულა რძის წარმოების წლიური გეგმა 87,9 პროცენტით; რძის დამზადებისა — 93,3 პროცენტით, კვერცხისა — 98,4 პროცენტით.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებს შორის კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს **ბოგდანოვკის, ახალქალაქის, მარნეულის, საგარეჯოს, დმანისის, წითელწყაროსა და ბოლნისის** რაიონებმა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია 25 ათასი მანეთის ოდენობით დასავლეთ საქართველოს რაიონებს შორის მიენიჭა **ბათუმის** რაიონს. რაიონმა უზრუნველყო 22,6 ცენტნერი ხორცის წარმოება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე (აქედან ღორის ხორცისა 100 ჰექტარ ხნულზე — 43,5 ცენტნერი), რძისა — 191 ცენტნერი, კვერცხისა 100 ჰექტარ მარცვლეულის ნათესზე — 9.412 ცალი. ხორცის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 90,7 პროცენტით, რძისა — 103 პროცენტით, კვერცხისა — 102,3 პროცენტით.

მეორე ადგილი მიენიჭა **ქობულეთის** რაიონს, რომელმაც უზრუნველყო წარმოება 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე: ხორცისა — 21 ცენტნერი (აქედან ღორის ხორცისა 100 ჰექტარ ხნულზე — 24,9 ცენტნერი), რძისა — 110 ცენტნერი; ხორცის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 99,6 პროცენტით, რძისა — 98 პროცენტით, კვერცხისა — 98,4 პროცენტით.

მეცხოველეობაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს **მახარაძის, ზუგდიდის, სამტრედიისა** და **აბაშის** რაიონებმა. (საქდესი).

არტილერიის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება თბილისში

გუშინ, 18 ნოემბერს, თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გაიმართა საქალაქო საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა ხალხის ტრადიციულ დღესასწაულს — არტილერიის დღეს. დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის გარნიზონის გენერალები და ოფიცრები, საქართველოს დედაქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. გ. ვამაკიძემ.

მოხსენება არტილერიის დღის შესახებ გააკეთა ამხ. ნ. ტელეგინმა. მან ილაპარაკა საბჭოთა არტილერიის სახელოვან საბრძოლო გზაზე, მკაცრი განსაცდელისა და დაუვიწყარ გამარჯვებათა გზაზე, მეომარ არტილერისტთა გმირობაზე დიდ სამამულო ომში, შეეხო მათ ბეჯითურ წვრთნას ომისშემდგომ წლებში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის პასუხად, — ამბობს მომხსენებელი, — საბჭოთა არტილერისტები არ დაიშურებენ ძალღონესა და ცოდნას ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ერთგული და საიმედო ბურჯის ძლიერების განსამტკიცებლად.

საბჭოთა არტილერისტებს მიესალმნენ: ქალაქის მუშათა სახელით — მუშა ი. ეურუხინი, ინტელიგენციის სახელით — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გ. ხუნდაძე, ახალგაზრდობის სახელით — თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტი გ. ლეკიშვილი.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

დროული ღონისძიება

თბილისის 55-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დიდი ინტერესით გაეცნო „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებს.

...უჩვეულო გამოცოცხლება იყო სკოლაში. სამასწავლებლოში ხელიდან ხელში გადადიოდა გაზეთის ის ნომრები, რომლებშიც თეზისებია გამოქვეყნებული, ერთმანეთს უკითხავდნენ, აზრებს უზიარებდნენ, მსჯელობდნენ.

— სახალხო განათლების სისტემაში ცვლილებების შეტანა მეტად დროული და სწორი ღონისძიებაა, — ამბობს მათემატიკის მასწავლებელი ალექსი ცქვიტაია, — არსებული სკოლების გარდაქმნა ბავშვებში დაინერგავს შრომის საუკეთესო ჩვევებს, მაშინ სკოლა ფეხდაფეხ გაჰყვება ცხოვრებას. შრომა და სწავლა ჩვენს მოზარდ თაობას საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანებად აქცევს.

— მართალია, — ჩაერია საუბარში სკოლის დირექტორი ი სურგულაძე, — სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა სკოლებში შრომითი პროცესების დანერგვა იქნება, — საფაბრიკო-საქარხნო სკოლა უფრო ღრმა ცოდნას და პრაქტიკულ ჩვევებს მისცემს ბავშვებს, ვიდრე საშუალო სკოლა და მასთან შექმნილი სახელოსნო. დრო უქმად აღარ დაიკარგება. ამავე დროს სკოლაში სწავლისა და შრომის წარჩინებულთათვის ყოველთვის ღია იქნება უმაღლესი სასწავლებლის კარები.

ამხანაგებთან მსჯელობაში საშუალო სკოლის ვარდაქმნის პროექტით გამოწვეული აღფრთოვანება გამოთქვეს მასწავლებლებმა მ. დოჭვირმა, ი. ბეჟანოვამ და სხვებმა.

მ. ინასარიძე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ

★ ★ ★

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲨᲘ

✦

Ն. ᲒᲝᲛᲔᲚᲐᲣᲠᲘ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ.

✦

მრეწველობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის პროექტი, შემუშავებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ, მთლიანად გამომდინარეობს იმ ამოცანებიდან, რომლებიც დასახულია ჩვენი რესპუბლიკის წინაშე ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში.

შვიდწლედისათვის რესპუბლიკაში კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობიდან — 16,8 მილიარდი მანეთიდან სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოყოფილი აქვს 9.2 მილიარდი მანეთი, რაც წინა შვიდ წელთან (1952-1958 წლები) შედარებით იძლევა ზრდას 132,3 პროცენტით, მათ შორის საბინაო მშენებლობაზე — 64,9 პროცენტით.

ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, ჩვენს რესპუბლიკაშიც მთავარი ყურადღება ექცევა მძიმე მრეწველობის დარგების განვითარებას. მნიშვნელოვნად ძლიერდება ყველა ჩვენი სამრეწველო საწარმოს ტექნიკური ბაზა და აღჭურვილობა. 6,100 მილიონ მანეთზე მეტი, ანუ საერთო თანხის 80 პროცენტი მოხმარდება მძიმე ინდუსტრიის არსებულ საწარმოთა გაფართოებას და ახალ საწარმოთა შექმნას. შეიქმნება 100-ზე მეტი ახალი სამრეწველო საწარმო, მათ შორის: მანქანათამშენებლო და ელექტროტექნიკურ მრეწველობაში — 23 საწარმო, ქიმიურ მრეწველობაში — 7 საწარმო, რომელთა საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ერთ მილიარდ მანეთს გადაამეტებს.

მსუბუქი მრეწველობის ხაზით შეიქმნება ხელოვნური ტყავისა და წმინდა მატუდის ქსოვილის გამოსამუშავებელი ახალი წარმოება, დამთავრდება გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების წარმატებანი ბევრად არის დამოკიდებული იმ ბუნებრივ სიმდიდრეთა დროულად და კეთილსინდისიერად გამოვლენებასა და შესწავლაზე, რომლებიც ჩვენი მიწის წიაღშია. ამ მიზნებისათვის 1959-1965 წლებში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით გათვალისწინებულია დიდი რაოდენობით კაპიტალდაბანდებანი, მათ შორის მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყოფა ნავთობისა და ბუნებრივი გაზის საბადოთა შესწავლის მიზნით ღრმა ბურღვის საწარმოებლად.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 1957 წლისა და 1958 წლის ათი თვის მუშაობის შედეგებმა, ახალ სიმძლავრეთა შემატებისა და არსებულ სიმძლავრეთა გაფართოების დასახულმა პროგრამამ, აგრეთვე რესპუბლიკაში ნედლეულის რესურსების ზრდამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვესახა შვიდწლედში ჩვენი მრეწველობის საწარმოო პროგრამის მნიშვნელოვანი გადიდება.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1965 წელს მიაღწევს 22,3 მილიარდ მანეთს ნაცვლად 1958 წლის 12,5 მილიარდი მანეთისა.

1965 წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის ხვედრითი წონა რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში 81 პროცენტი იქნება. წარმოების საშუალებათა წარმოება 1965 წლისათვის 1958 წელთან შედარებით დიდდება 193 პროცენტით, მოხმარების საგნების წარმოება — 156 პროცენტით.

მთლიანად რესპუბლიკაში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება ერთ სულ მოსახლეზე შვიდწლედის ბოლოსათვის 1,5-ჯერ იზრდება.

ზრდის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტემპები დასახულია ქიმიურ მრეწველობაში, სადაც პროდუქციის მოცულობა 1965 წელს 1958 წელთან შედარებით 7,5-ჯერ დიდდება.

მანქანათამშენებლო მრეწველობაში საერთო პროდუქცია იზრდება 3,4-ჯერ, ელექტროენერგიის გამომუშავება — აგრეთვე 3,4-ჯერ, საშენი მასალების მრეწველობაში — 1,9-ჯერ, სატყეო და ქაღალდის მრეწველობაში — 1,8-ჯერ, შავ მეტალურგიაში — 32 პროცენტით, სათბობის მრეწველობაში — 25 პროცენტით, მსუბუქ მრეწველობაში — 58 პროცენტით, კვების მრეწველობაში — 55 პროცენტით, მათ შორის ღვინის მრეწველობის ხაზით — თითქმის ერთიორად.

მნიშვნელოვნად იზრდება კვების მრეწველობისათვის საჭირო ტექნოლოგიური მოწყობილობისა და სათადარიგო ნაწილების წარმოება, რაც 1965 წელს თითქმის ერთიორად დიდდება. ფართოვდება ჩაის საკრეფი მანქანების, ლაოჩაის საკრეფი აპარატების, ჩაის ფუმიგატორების, სხვადასხვა ტიპის სატრაქტორო კულტივატორების და სხვ. გამოშვების პროგრამა.

ჩაის პლანტაციების ფართობის ზრდამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვესახა ნატურალური ჩაის წარმოების გადიდება 1965 წელს 21,5 ათას ტონამდე ნაცვლად 1958 წლის 14,3 ათასი ტონისა. ჩაის პირველადი დამუშავება გადიდდება 30 პროცენტით.

განსაკუთრებით განვითარდება რესპუბლიკის ღვინის მრეწველობა ვენახების ფართობის მნიშვნელოვან გადიდებასთან დაკავშირებით. ყურძნის დამზადება 1965 წლისათვის დასახულია 330 ათასი ტონის რაოდენობით. ამან შესაძლებლობა მოგვცა დაგვეპროექტებინა ღვინო-მასალის გამოშვების გადიდება შვიდწლედში 2,3-ჯერ, ყურძნის ღვინისა — 2,6-ჯერ, კონიაკებისა — 2-ჯერ.

დიდი ღონისძიებებია დასახული საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განსაბორციელებლად, რაც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვის წესით ჩვენ შემოგვაქვს წინადადებანი: გადიდდეს თუჯის გამოდნობა. ამ მიზნით ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში აშენდეს მესამე ბრძმედი ნახშირბადოვანი, ჟანგბადით გამდიდრებული ბრძმედული ფერომანგანუმის ბერვით წარმოებისათვის, ხოლო არსებული ბრძმედები კაპიტალური რემონტის დროს რეკონსტრუირებულ იქნას. ამასთან თუჯის გამოდნობის ზრდა და ფერომანგანუმის გამოშვება მიღწეული იქნება ნაკლები კაპიტალური დანახარჯებით და გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ახალ ადგილზე საბრძმედე საამქროს მშენებლობისას. ამის შედეგად მივიღებთ იაფ ფერომანგანუმს, რესპუბლიკიდან მარგანეცის მაღნის ნაცვლად ნახშირბადოვანი ფერომანგანუმის გატანა დიდ ეკონომიას იძლევა.

მიზანშეწონილია ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში გადიდდეს ფოლადის გამოშვება, აშენდეს შტრიფსის დგანი მოსაპვიმი გალით და მოეწყოს გაზის მილების წარმოება. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას ლითონის ის ნაგავრები, რაც ქარხანაში შვიდწლედის ბოლოს შეიქმნება.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა მრავალათასიანი კოლექტივი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მხურვალედ იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს და მთელ ძალღონეს მოახმარს იმას, რომ განახორციელოს კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამა, რომელსაც ჩვენი ლენინური პარტია სახავს.



ახალ შვიდწლედში რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის პროდუქცია გადიდდება დაახლოებით 6-ჯერ.

* * *

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲩᲐᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ, ᲛᲔᲒᲐᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲔᲝᲑᲐ, ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲔᲚᲕᲘᲜᲔᲝᲑᲐ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲑᲐᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ 16,8 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓ ᲛᲐᲜᲔᲗᲡ. ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲨᲘ ᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 75 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ Ე. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲡ ᲣᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲔᲑᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ն. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ.

ᲤᲝᲢᲝ Ვ. ᲮᲐᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ (ᲡᲐᲥᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

✦

Ა. ᲒᲝᲒᲝᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ.

✦

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ უდიდესი სიხარული და ენთუზიაზმი გამოიწვია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის იმ მოხსენების თეზისებმა, რომელიც მოხმენილი იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე.

ამ თეზისებში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საეტაპო საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს, სახალხო მეურნეობის უმაგალითო განვითარების ლენინისძიებებთან ერთად დასახულია საბჭოთა მეცნიერების ახალი მძლავრი განვითარებისა და აყვავების ჭეშმარიტად დიდი ლენინისძიებანი. კერძოდ, რაც შეეხება მეცნიერებას, თეზისები მომავალ შვიდწლიან პერიოდში ითვალისწინებს ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც უალრესად ხელსაყრელი იქნება მისი ყველა დარგის კიდევ უფრო სწრაფი განვითარებისათვის, დიდმნიშვნელოვანი თეორიული გამოკვლევებისა და ახალი დიდი მეცნიერული აღმოჩენების განხორციელებისათვის. დასახულია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფართო პროგრამა, რომელიც გულისხმობს მეცნიერული ძალებისა და სახსრების კონცენტრაციას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი გამოკვლევების შესასრულებლად. შვიდი წლის მანძილზე სახელმწიფო უზარმაზარ სახსრებს გაიღებს ახალ სამეცნიერო დაწესებულებათა მშენებლობისათვის, უახლესი მოწყობილობით ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების აღჭურვისათვის. შეიქმნება იმის უალრესად ხელსაყრელი პირობები, რათა საბჭოთა მეცნიერება, რომელმაც უკანასკნელ დროს არა ერთი ბრწყინვალე მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, გამდიდრდეს კიდევ უფრო დიდი მიღწევებითა და აღმოჩენებით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის შეუნელებელ ყურადღებას აქცევდნენ

ახალ შვიდწლედში რესპუბლიკაში ყურძნის მოსავალი 1965 წელს 1957 წელთან შედარებით გადიდდება დაახლოებით 2,2-ჯერ.

* * *

და აქცევენ მეცნიერების განვითარებას მომძლე მოკავშირე რესპუბლიკებში. ამის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურება იყო ის დიდი ლენინისძიებანი, რომლებიც პარტიისა და მთავრობის ინიციატივითა და დახმარებით უკანასკნელ დროს ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა მეცნიერების მრავალი დარგის, მათ შორის უახლესი დარგების, დაჩქარებული განვითარებისათვის.

ახალი, კიდევ უფრო დიდი პერსპექტივებია გადაშლილი ქართული საბჭოთა მეცნიერების წინაშე მომავალ შვიდწლიან პერიოდში. ქართველ მეცნიერთა ნიჭიერ და მძლავრ კოლექტივს, რომელიც საბჭოთა მეცნიერების ერთიანი ძმური ოჯახის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია, ყოველგვარი პირობა ექნება იმისა, რომ სწრაფად ამრავლოს თავისი წარმატებანი და სულ უფრო მეტი წვლილი შეჰქონდეს საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში, მსოფლიო მეცნიერების საგანძურში.

1959-1965 წლების მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში ჭეროვანი ყურადღება მიექცევა კვლევა-ძიების შემდგომ განვითარებასა და ფართოდ გაჩაღებას თანამედროვე ფიზიკის ისეთ დარგებში, როგორიც არის კოსმოსური სხივების ფიზიკა, ატომგულის ფიზიკა და ნახევარგამტარების ფიზიკა, რომელთა წარმატებით განვითარებაზე დამოკიდებულია მომიჯნავე მეცნიერებათა და სახალხო მეურნეობის წინსვლა, ტექნიკური პროგრესის უალრესად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა. აღსანიშნავია, რომ მომავალ წელს რესპუბლიკაში შეიქმნება ნახევარგამტარების ინსტიტუტი.

ასევე ფართო ყურადღებით იქნება გარემოცული კვლევა-ძიების კიდევ უფრო გაღრმავება მათემატიკის პრობლემებზე, რომელთა შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მეცნიერების ბევრი დარგისა და პრაქტიკის განვითარებისათვის. კერძოდ, ყოველმხრივ შეეწყობა ხელი მუშაობის გაჩაღებას გამოთვლითს მათემატიკაში, რასაც მზარდი წარმატებით ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჭერ კიდევ ხრულად ახალგაზრდა სამეცნიერო დაწესებულება — გამოთვლითი ცენტრი.

შვიდი წლის მანძილზე საქართველოში ძალიან ბევრი რამ გაკეთდება მეცნიერების ისეთი უახლესი დარგების განვითარებისათვის, როგორიც არის ელექტრონიკა, ავტომატიკა და ტელემექანიკა. დიდი ღონისძიებებია დასახული რესპუბლიკაში მეცნიერულ კვლევა-ძიების მძლავრი გაფართოებისათვის თეორიული და გამოყენებითი ქიმიის ისეთ დარგებში, რომლებიც ხელს უწყობენ ახალი სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავებას და ისეთი ხინთოზური მასალების შექმნას, რომლებსაც თანამედროვე ტექნიკა მოითხოვს. მნიშვნელოვნად გაფართოვდება სამეცნიერო მუშაობა აგრეთვე მანქანათამშენებლობის დარგში. ამ მიზნით 1960 წლისათვის განზრახულია შეიქმნას მანქანათამშენებლობის ინსტიტუტი.

1959-1965 წლების განმავლობაში რესპუბლიკაში შემდგომ მძლავრ განვითარებას ჰპოვებს ბიოლოგიური და სამედიცინო მეცნიერებანი. საკმარისია აღინიშნოს, რომ შვიდწლიანი გეგმით ნაგულისხმევია გაიხსნას ამ დარგის რამდენიმე ინსტიტუტი, მათ შორის, უახლოეს ორ-სამ წელიწადში იქნეს ინსტიტუტი, სახელდობრ ბიოქიმიისა და ბიოფიზიკის, მცენარეთა ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგიის, გენეტიკის, პათოლოგიის, უროლოგიის ინსტიტუტები.

კვლავაც დიდი მზრუნველობით იქნებიან გარემოცული საზოგადოებრივი მეცნიერების ცალკეული დარგები, ეკონომიკური, ფილოსოფიური მეცნიერებათა განვითარებას, პირველ რიგში ამ დარგებიდან ისეთი პრობლემების დამუშავებას, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენს პირობებში, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

ქართული საბჭოთა მეცნიერების წინაშე ამუამად ახალი დიდი ამოცანებია დასმული. უახლოეს შვიდ წელიწადში მან უნდა გადადგას ჭეშმარიტად დიდი ნაბიჯი თავისი შემდგომი წინსვლისა და აყვავების გზაზე, რისთვისაც მას ყოველგვარი პირობები ექნება შექმნილი. ქართველ მეცნიერთა საბელოვანი კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს ამ მეტად საპატიო ამოცანას, რითაც ჭეროვნად გამართლებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიუცრომელ მზრუნველობას, დირსეულად მოიხდის თავის ვალს ხალხის წინაშე, სამშობლოს წინაშე.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის დიადი პროგრამა

✦

Გ. ᲐᲚᲐᲕᲘᲫᲔ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ.

✦

საქართველოში ჩაის წარმოება ახალ შვიდწლედში გადიდდება 1,5-ჯერ.

* * *

საქართველოს მშრომელები ჩვენი ქვეყნის მთელ ხალხთან ერთად უდიდესი მოწონებით შეხვდნენ და მხურვალედ განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

საბჭოთა საქართველოს მშრომელების მიერ მნიშვნელოვანი მიღწევებია მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი აღმავლობის საქმეში. დიდი გადაჭარბებით შესრულდა ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმა. სახელოვანმა მეჩაიეებმა წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 24.237 ტონით მეტი ხარისხოვანი ფოთოლი, ვიდრე გასულ წელს, და თითქმის 3-ჯერ მეტი, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 4.315 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მახარაძის რაიონმა — 3.806 კილოგრამი, ზუგდიდის რაიონმა — 3.062 კილოგრამი, ლანჩხუთის რაიონმა — 3.528 კილოგრამი და სხვ.

საამაყო მაჩვენებლებს მიაღწიეს ქართველმა მევენახეებმა. წინასწარი მონაცემებით საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 50 ცენტნერი ყურძენი. 1954-1958 წლებში დამზადებულია 257 ათასი ტონით მეტი ყურძენი, ვიდრე 1949-1953 წლებში. თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს მეცხოველეებმა, მეხილეებმა, მეციტრუსეებმა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებმა.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში ახალი, წინსვლის დიდებული პერსპექტივებია დასახული ახალ შვიდწლედში. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში საბრძოლო ამოცანად დასმულია მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთ ზრდას, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მკვეთრად გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, რათა სრულყოფილად დავაკმაყოფილოთ მრეწველობა ნედლეულით, ხოლო მოსახლეობა — პროდუქტებით.

სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1965 წელს გადიდდება 1958 წელთან შედარებით დაახლოებით 1,7-ჯერ.

შვიდწლედში ჩვენს რესპუბლიკაში აშენდება 15 ჩაის ფაბრიკა, გაფართოვდება ჰიდროელადი მეღვინეობის საწარმოო ბაზა, ჩაის წარმოება გაიზრდება 1,5-ჯერ, ყურძნის ღვინისა — 2,5-ჯერ, მნიშვნელოვნად გადიდდება ხორცის, რძის, შაქრის ჭარხლის, ხილის წარმოება.

ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში რესპუბლიკის წინაშე დასახულია დიდი ამოცანა: 1965 წელს უნდა მოიკრიფოს 170 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს ძირითადად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება სამამულო წარმოების ჩაიზე.

ათეულ ათასობით ჰექტარზე გაშენდება ვენახები, ბაღები. დასახულია ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობის ერთიორად გადიდება. 1965 წლისათვის 140 ათასი ჰექტარი ბაღები გვექნება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის ბოსტნეულით უზრუნველყოფის საქმეს, მეთამბაქოობას. გათვალისწინებულია ბოსტნეულის ზრდა ორჯერ და უფრო მეტად.

მომავალ შვიდწლედში თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შემოღებულ იქნება სწორი თესლბრუნვა, როგორც მეურნეობის გაძღოლის სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. სწორი თესლბრუნვა განსაზღვრავს წარმოების დარგების მიმართულებასა და რაციონალურ შეხამებას, უზრუნველყოფს ნიადაგის დამუშავების სწორ სისტემას და ჯიშიანი თესლით სოფლის მეურნეობის ყველა კულტურის თესვას.

მეცხოველეობის განვითარების პროგრამის წარმატებით შესრულების მთავარი პირობაა მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. საკვების წარმოების გადიდებაში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის სიმინდს, რომლის ფართობი და მოსავლიანობა საგრძნობლად გადიდდება. გაუმჯობესდება ბუნებრივი საძოვრები, სათიბები და სხვ.

შვიდწლედში მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მხრივ ასეთი სურათი გვექნება: ხორცი დამზადდება 50 ათას ტონა ნაცვლად 1957 წელს დამზადებული 34 ათასი ტონისა, რძე — 200 ათასი ტონა ნაცვლად 99 ათასისა, გადიდდება კვერცხის, მატყლის და სხვა პროდუქტების დამზადება.

ძირფესვიანად გარდაიქმნება საკოლმეურნეო სოფლის სახე, ამაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად განზრახულია გადიდდეს სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. შვიდწლიანი გეგმის პროექტით გათვალისწინებულია ამ მიზნებისათვის დაიხარჯოს 2.082 მილიონი მანეთი, რაც 702 მილიონი მანეთით მეტია 1953-1958 წლებთან შედარებით. ზრდა შეადგენს 51 პროცენტს.

მთელი ჩვენი საქმიანობა იქით უნდა წარვმართოთ, რომ შემდგომ ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, შევამციროთ პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომისა და სახსრების დანახარჯები.

სოფლის მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელსაც მშობლიურ კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა განიხილავს, უდიდესი მოვლენა იქნება პარტიის საბჭოთა, ხალხის ცხოვრებაში.

საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის ღონის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებანი, რომლებიც დასახულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, მთელ ჩვენს ხალხს აღაფრთოვანებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს სრულდება მუშა ქალთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის 40 წლისთავი

დიდება საბჭოთა ქალებს — ჩვენს მეგობრებს, დედებს, დებს!

★ ★ ★

საბჭოთა ქალები — კომუნიზმის აქტიური მშენებლები

ბილისის ზ. ფალიაშვილის სახელ-
ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო
ტრი საღამისსწაულოდ მორთულია.
ნის სილრმეში ცოცხალ ყვავილებს
რის დგას ვ. ი. ლენინის სკულპტუ-
ლი ფიგურა.
7 ნოემბერს თეატრში შეიკრიბნენ
ულიად რუსეთის მუშა და გლეხ ქა-
ა პირველი ყრილობის 40 წლისთა-
ადმი მიძღვნილი საქართველოს ქა-
ა რესპუბლიკური შეკრების მონაწი-
ნი.
რეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამ-
აგები ვ. პ მეკვანაძე, გ. დ. ჯავახი-
ლი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი,
ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუ-
ძე, ა. ნ. ინაური, ი. გ. რთველიაშვი-
ე. ა შევარდნაძე, რესპუბლიკის
ჩინებული ქალები.
შეკრება გახსნა საქართველოს სსრ მი-
ტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოად-
ლემ ზ. ა. ქვაჭაძემ.
დარბაზში ეღერს საბჭოთა კავშირის
ელმწიფო ჰიმნისა და საქართველოს
რესპუბლიკის ჰიმნის მელოდიები.
ქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეკრე-
ს საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საბ-
თა კავშირის კომუნისტური პარტიის
ტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.
სტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სა-
რთველოს კომპარტიის ცენტრალური
მიტეტის მდივანს ფ. დ. დუმბაძეს.
— 40 წლის წინათ, — ამბობს მომხ-
ნებელი, — მოსკოვში გაიმართა სრუ-
ად რუსეთის მუშა და გლეხ ქალთა
რველი ყრილობა.
ეს იყო დრო, როცა ახალგაზრდა საბ-
თა რესპუბლიკა თავდადებით იბრძო-
კონტრრევოლუციისა და ინტერვენ-
ების წინააღმდეგ, რომლებიც ცდი-
ობდნენ სისხლში ჩაეხრჩოთ მსოფ-
ლიოში პირველი სოციალისტური სა-
ელმწიფო. საჭირო იყო მთელი ძალე-
ს მობილიზაცია სამშობლოს დასაცა-
ად. და ამ დღეებში ყრილობის ტრი-
ბუნიდან გაისმა რევოლუციის ბელადის
ი. ლენინის წინასწარმეტყველური სი-
ტყვები: „არ შეიძლება იყოს სოციალის-
ური გადატრიალება, თუ მშრომელ ქა-
თა უდიდესი ნაწილი მნიშვნელოვან
ონაწილეობას არ მიიღებს მასში“.
ასრულებდნენ რა დიდი ბელადის მი-
ითებებს, საბჭოთა ქალები დგებოდნენ
ალი საზოგადოებისათვის მებრძოლთა
რველ რიგებში. პირველი ხუთწლედი-
ს წლებში და შემდგომ წლებში ქა-
ები უყარყმოდ აქტიურ მონაწილეობას
ღებდნენ ჩვენი სამშობლოს ძლიერების
ნმტკიცებაში.
თავდადებით შრომობენ ჩვენი რეს-
ბლიკის ქალებიც. საკმარისია ითქვას,
რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის
უშათა საერთო რიცხვის 70 პროცენტს
ალები შეადგენენ. ქალები ნაყოფიერად
უშობენ აგრეთვე მეტალურგიულ, მან-
ათმოსაშენებელ მრეწველობაში და სხვა
ალგებში. ბევრი მათგანი წარმოების
ოვატორი, უნარიანი მეთაურია.
ქალებს მნიშვნელოვანი წვლილი შე-
ქთ რესპუბლიკის მრავალფეროვანი
ოფლის მეურნეობის ყველა დარგის
ანვითარებაში. ბევრი მათგანი არის
ელმეურნეობის თავმჯდომარე, ბრიგა-
ერი, მერგოლური.
ქალები აქტიურ მონაწილეობას იღე-
ენ რესპუბლიკის კულტურულ ცხოვ-
რებაში. ისინი მუშაობენ სამეცნიერო
წესებულებებში, სასწავლებლებში,
ლიტერატურის, ხელოვნების, ჯანმრთე-
ლობის დაცვის დარგში.
პარტია და მთავრობა დიდად აფასებენ
საბჭოთა ქალების თავდადებულ შრომას.
რესპუბლიკის 356 ქალს მინიჭებული
აქვს სოციალისტური შრომის გმირის მა-
ღალი წოდება. ბევრი მათგანი დაჯილ-
დოებულია სსრ კავშირის ორდენებით
და მედლებით.

საქართველოს ქალთა რესპუბლიკური შეკრება

საბჭოთა ქალები ასრულებენ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს. პირველ რიგში მათ ეკისრებათ მოზარდი თაობის აღზრდა. საბჭოთა სახელმწიფოში დაუცხრომლად ზრუნავენ დედისათვის. მარტო საქართველოში „გმირი დედის“ საპატიო წოდება მინიჭებული აქვს 1.173 ქალს. მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს მიეცათ დაახლოებით მილიარდი მანეთი დახმარება.

სასიხარულო, ღრმა შინაარსით აღსავსე დღეებს განიცდის ჩვენი ქვეყანა, რომელიც ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას. საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით განიხილავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ.

ტრიბუნაზე პირველი ადის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უხუცესი წევრი ნ. ლომთათიძე.

— ის, რისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით, რაზეც ვოცნებობდით, — მოეკლავრებით ლაპარაკობს იგი, — სინამდვილე გახდა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა მოუტანა ჩვენი ქვეყნის მილიონობით ქალს.

— ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში, — ამბობს კამოდ-მაუდის კომბინატის მოწინავე მუშა ნ. შენგელია, — ათასობით ქალი შრომობს მრეწველობის სხვადასხვა დარგში. ორატორს მოჰყავს კონკრეტული მაგალითები მშობლიური საწარმოს ცხოვრებიდან.

ამხ. შენგელია ლაპარაკობს დიდ პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა.

სიტყვას ამბობს სოციალისტური შრომის გმირი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაე ტ. ჩხაიძე. — ელაპარაკობს, მკვეთრ ცვლილებებზე, რომლებიც სოფლად მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობასა და კულტურაზე.

— საბჭოთა ქალები დგანან მშვიდობის საქმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში, — განაცხადა თავის სიტყვაში დიდი სამამულო ომის მონაწილე ექიმმა თ. გოთუაშ. მათ სურთ ახალი ომის საშინელებათაგან დაიცვან თავიანთი შვილები. საბჭოთა ქალები გადაჭრით მოითხოვენ აიკრძალოს მასობრივი მოსპობის იარაღი.

კრების მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს „ამიერკავკასიის მეტალურგმშრომლის“ ტრესტის მოწინავე მუშის ნ. სერგოდას გამოსვლა. მან ილაპარაკა, თუ როგორ ცხოვრობს და შრომობს ქართველ მეტალურგთა ქალაქის- რუსთავის ახალგაზრდობა.

—დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ქალებს დაუსახა ნათელი გზა, თანთოდ მისაწვდომი გახადა მათთვის მეცნიერება და კულტურა, — თქვა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა დოცენტმა თ. მრეველიშვილმა. ქართველი ხალხი ამაყობს მეცნიერი ქალების რ. ნიკოლაძის, ქ. ლომთათიძის, ქ. ბახტაძისა და სხვების სახელებით.

პოეტმა მარიჯანმა წაიკითხა საბჭოთა ქალებისადმი მიძღვნილი ლექსი.

ტრიბუნაზეა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1902 წლიდან ნ. ალაჯალოვა. იგი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა მონაწილეობას იღებდნენ ქალები რევოლუციურ მოძრაობაში.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეკვანაძემ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით იგი მიესალმა შეკრების მონაწილეებს და მათი სახით რესპუბლიკის ყველა ქალს.

ორმოცი წლის წინათ, — ამბობს ამხ. მეკვანაძე, — ვ. ი. ლენინმა, რომელიც გამოვიდა სრულიად რუსეთის მუშა და გლეხ ქალთა პირველ ყრილობაზე, მოუწოდა ჩვენი ქვეყნის ყველა ქალს თავიანთი შრომით ჩაბმულიყვნენ ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ეწარმოებინათ აქტიური საზოგადო მოღვაწეობა. ასრულებენ რა დიდი ბელადის ანდერძს, საბჭოთა ქალები თავდადებით შრომობენ კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ჩვენი ქვეყნის ქალებმა შესამჩნევი როლი შეასრულეს არა მარტო ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მათ გმირობის, თავდადებისა და სამშობლოსადმი კეთილშობილური სამსახურის ნიმუშები გვიჩვენეს აგრეთვე ხუთწლედების წლებში, დიდი სამამულო ომის დროს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ომისშემდგომი აღდგენისა და განვითარების წლებში.

ყველა ესენი ქალთან ერთად კომუნისტურ მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს მშრომელ ქალებს. ისინი დიდ ძალას წარმოადგენენ არა მარტო საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებში, არამედ აგრეთვე მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, სადაც მატერიალურ დოვლათს ქმნიან.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომელ მამობრივ ზრუნვას იჩენენ საბჭოთა ქალებისათვის, განსაკუთრებული ზრუნვითა და პატივისცემით არის გარემოსილი ჩვენში დედა.

ამხ. მეკვანაძე ლაპარაკობს იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რომელიც რესპუბლიკის მშრომელებში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხში გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა. ამ ისტორიულ დოკუმენტს, რომელშიც შეჯამებულია სახელოვან გამარჯვებათა შედეგები და დასახულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიდებული პერსპექტივები, რესპუბლიკის მშრომელები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ.

ამხ. მეკვანაძემ დიდი წარმატებანი უსურვა ქალებს პარტიის მიერ დასახული სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი ამოცანების შესრულებაში, ბრძოლაში მშვიდობის საქმისათვის.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

* * *

კრების შემდეგ დიდი კონცერტი გაიმართა. (საქდესი).

ქალთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): მერგოლური ტ. ჩხაიძე (მახარაძის რაიონი), კოლმეურნეობის ბრიგადირი თ. უუფუნია (ზუგდიდის რაიონი), კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. პეტროსიანი (ახალქალაქის რაიონი), კოლმეურნე ვ. კვიცაშვილი (ახმეტის რაიონი), კოლმეურნე რ. ალიევა (მარნეულის რაიონი) და მერგოლური ო. აივაზაშვილი (ახმეტის რაიონი).

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ქალის მარჯვენა

მადლობა კარტიას

თითქოს გუშინ იყო: სვანეთიდან სამტრედიაში სტუმრად ჩამოვედი. ორთქლმავალი მაშინ პირველად ვნახე. ეს იყო სამამულო ომის დროს — 1944 წელს.

— რაც არ უნდა იყოს, უნდა ვისწავლო მემანქანეობა, — გადავწყვიტე, და სვანეთში აღარ დავბრუნებულვარ. რკინიგზის სახელოსნო სასწავლებელში შევედი.

როცა გავიგე, რომ ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას ორთქლმავლის მემანქანეები ესაჭიროებოდა, მაშინვე მისკენ გამოვემგზავრე.

— თქვენი მოვალეობა იქნება მოემსახუროთ მარტენისა და ხაგლინავ საამქროებს, დროულად და შეუფერხებლად უზრუნველყოთ მგლინავებისათვის გავარვარებული ლავების მიწოდება, — დამარიგეს ქარხანაში მისვლისას.

ჩემი შრომა სათანადოდ შეაფასა პარტიამ და მთავრობამ — წელს მეტალურგების საკავშირო დღის პირველად აღნიშვნასთან დაკავშირებით დაჯილდოებულ ი ვიქენი შრომის წითელი დროშის ორდენით.

მადლობა პარტიას და საბჭოთა მთავრობას, ასე დიდად რომ აფასებენ ქალს, მის შრომას.

ცაცა გოლეთიანი,
სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის რკინიგზის საამქროს ორთქლმავლის მემანქანე.

დიდი გედნიერება

ჩაის კულტურას ვიცნობ 1935 წლიდან, როცა იგი პირველად გავაშენეთ ჩვენს კოლმეურნეობაში. იმ დროიდან მოყოლებული განუწყვეტლივ თავს ვეკვლები ჩვენი სიმდიდრის დაუშრეტელ წყაროს. მონდომებული შრომით ყოველწლიურად უფრო უკეთეს შედეგებს ვაღწევ. საკოლმეურნეო მინდორზე ჩემი შრომა მშობლიურმა პარტიამ და მთავრობამ დამიფასეს — შრომის წითელი დროშის ორდენით დამაჯილდოვეს.

გასულ წელს ჩემს ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა. აფხაზი ქალი, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციამდე მამაკაცთან გვერდით დგომის უფლებაც კი არ ჰქონდა, ჩვენი სოფლის კოლმეურნეებმა სასოფლო საბჭოს დეპუტატად ამირჩიეს. ვცდილობ ყოველმხრივ გავამართლო ხალხის მსახურის სახელი.

მარიამ ადლეიბა,
აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჯგერდის სუკოროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

ნამდვილი გოლშევიკები არ გერდეგიან

თბილისში რიყის ქუჩაზე ერთ სახლს ხშირად უთვალთვალებდნენ მეფის ჟანდარმები. ამ სახლში მაშინ ცნობილი ბოლშევიკი მინას მელიქიანი ცხოვრობდა. ერთხელ მეფის ოხრანკა ნამდვილ კვალს მიადგა, მინასი სახლში იყო და, მაშასადამე, ხელიდან ვერ წაუვიდოდათ. ეს შენიშნა დამ ელენემ და ელვის სისწრაფით წარმოიდგინა ის შედეგები, რაც ძმის დაპატიმრებას მოჰყვებოდა — მათთან ხომ აუარებელი აკრძალული ლიტერატურა, პროკლამაციები და იარაღიც კი ინახება? დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა. ელენემ და მისმა დამ სასწრაფოდ შეკრეს აკრძალული ნივთები, გამოაბეს გრძელი თოკი და პირდაპირ მტკვრის მიმართულებით ჩაუშვეს. დაიღუპებოდა წიგნები, მაგრამ გადარჩებოდნენ ადამიანები, რომლებსაც წიგნები ეკუთვნოდათ.

ეს პატარა ეპიზოდია იმ დიდი, შინაარსიანი ცხოვრებისა, რომელიც ასე სასახელოდ განვლო ელენე ბაქრაძემ.

მშრომელთა წრიდან გამოსული ელენე, მუდამ ქალაქის მდაბიო ხალხში ტრიალებდა, მის ბედს მწარედ განიცდიდა. ამიტომ იყო, რომ, როდესაც იგი შეეგნებული ცხოვრების გზას დაადგა, მისთვის არჩევანი არ არსებობდა, თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა ამათ, ვინც მშრომელთა განთავისუფლებისათვის იბრძოდა.

* * *

როდესაც ნინო და სუსანა ალექსანდრეს ასული ბერიძეები ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდნენ, ჩოხატაურის რაიონში კომუნისტები თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ.

1919 წელი იყო... საქართველოში ქართველი ხალხის უბრალოესი მტრები მენშევიკები თარეშობდნენ. საქართველოს ულამაზესი კუთხე გურიაც გმინავდა მენშევიკების ბატონობის უღელქვეშ. და აი ჩოხატაურელმა კომუნისტებმა მიიღეს პარტიის დავალება — შეიარაღებული აჯანყება მოეწყოთ მენშევიკების წინააღმდეგ. სწორედ აქ გამოჩნდა ნინო ბერიძისა და სხვა ჩოხატაურელი კომუნისტების ორგანიზატორული ნიჭი. მათ საათითოოდ ჩამოიარეს ოჯახები და მოუწოდეს გლეხებს იარაღით ხელში გამოსულიყვნენ მენშევიკების წინააღმდეგ. აჯანყებამ გაიმარჯვა. ხელისუფლება ორ დღეღამეს ბოლშევიკების ხელში იყო, მაგრამ შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ აჯანყება სისხლში ჩაახრჩო. ბევრი პარტიული ამხანაგი დახვრიტეს. სხვებთან ერთად მხეცურად გაუსწორდნენ მგზნებარე კომუნისტს, აჯანყების ერთ-ერთი რაზმის ხელმძღვანელს — ნინო და სუსანა ბერიძეების ძმას ბენიას... დროებით ისევ მენშევიკები გაბატონდნენ. დაპატიმრებულ იქნა ნინოც. იგი სასტიკი ზედამხედველობით გათავისუფლეს, მაგრამ მენშევიკი ვაჟბატონები მწარედ მოტყუვდნენ, როდესაც ფიქრობდნენ ამ მგზნებარე ბოლშევიკ ქალში რევოლუციური სულისკვეთების ჩახშობას. იგი იარაღით ხელში უშიშრად იბრძოდა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრის დასაცავად. ხანმოკლე იყო საქართველოში მენშევიკების ბატონობა. საბჭოთა რუსეთის დახმარებით ქართველმა ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მიეცა საშუალება ნინოს განეგრძო დროებით შეწყვეტილი სწავლა.

* * *

არალეგალურ სტამბაში ბოლშევიკური პარტიის ახალი მოწოდებები დაიბეჭდა. მოწოდებები სასწრაფოდ დაურიგდათ პერიფერიაში მომუშავე ბოლშევიკებს, ოზურგეთის სამაზრო კომიტეტიდან ერკეთშიც გაგზავნეს. მაგრამ ვის მიანდონ ამ სახიფათო საქმის შესრულება? ვინ გაავრცელოს იგი ერკეთელ კომუნისტებს შორის? და არჩევანი 15-16 წლის გოგონაზე ნატალია მგალობლიშვილზე შეჩერდა.

ნატალიამ მართლაც ბრწყინვალედ შეასრულა ეს პარტიული დავალება. ამის შემდეგ მას არა ერთი და ორი პასუხსაგები ამოცანა შეუსრულებია. იგი ხშირად ავრცელებდა პროკლამაციებს, ბოლშევიკური პარტიის მოწოდებებს. 1916 წლიდან კი ბოლშევიკური პარტიის წევრია. ნატალიამ სხვა ამხანაგ ქალებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო მენშევიკების წინააღმდეგ გამოსვლაში, რის გამო იგი დაპატიმრეს და ბაქოში გადაასახლეს. ჩამოვიდა მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებაში.

* * *

ჩვენი სახელოვანი რევოლუციური წარსულის მქონე ქალები ამჟამადაც ახალგაზრდული ენერგიით ცხოვრობენ, გულწრფელად შეჰხარიან ჩვენს ნათელ ცხოვრებას, რომლის მოპოვებისათვის ბრძოლაში მათ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს.

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ნამდვილი ბოლშევიკები არ ბერდებიანო.

მერი ვარდოსანიძე.

სახელოვანი გზა

თეო აბაშმაძე,
ჟურნალ „საბჭოთა ქალის“ რედაქტორი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41 წლისთავის ზეიმს დაემთხვა 40 წლისთავი მუშა ქალთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობისა, რომელიც მოწვეული იყო რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ქალაქ მოსკოვში 1918 წლის 16-21 ნოემბერს და რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა მშრომელ ქალთა შორის პოლიტიკური მუშაობის გაშლისა და სოციალიზმის მშენებლობაში ქალთა ფართო მასების ჩაბმისათვის.

საუკუნეების მანძილზე დაბეჩავებულ, დამონებულ ქალთა ხვედრი ყოველთვის აღელვებდა საზოგადოების პროგრესულ ნაწილს, მაგრამ ქალთათვის პოლიტიკური და ეკონომიური უფლებების მინიჭების, მამაკაცთან სრული გათანაბრების საკითხის ბრწყინვალედ გადაჭრა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვების, საბჭოთა წყობილების დამყარების პირობებში გახდა შესაძლებელი.

სამოქალაქო ომის ქარცეცხლი, ოთხმეტი ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური სახელმწიფოს შემოტევა, ოთხი წლის ომით განადგურებული და დანგრეული მეურნეობა, გაძვალტყავებული ადამიანები—აი სურათი საბჭოთა ხელისუფლების პირველი თვეებისა. სწორედ ამ მომენტში, ვიდრე ოდესმე, ესაჭიროებოდა ქვეყანას ქალთა ფართო მასების შეგნებული მხარდაჭერა და მონაწილეობა. მალე აუცილებელი შეიქმნა შემუშავებულიყო ქალთა შორის შემდგომი მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები. სწორედ ეს ფორმები და მეთოდები შეიმუშავა მუშა ქალთა პირველმა ყრილობამ, რომელსაც 1.200-მდე დელეგატი ესწრებოდა. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი.

— არ შეიძლება მოხდეს სოციალისტური გადატრიალება, თუ მშრომელ ქალთა დიდი ნაწილი საგრძნობ მონაწილეობას არ მიიღებს მასში... ყველა განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებიდან ვიცით, რომ რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მონაწილეობენ მასში ქალები, — თქვა ვ. ი. ლენინმა ყრილობაზე. ბელადის გამოსვლამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ყრილობის დელეგატებზე.

— ყრილობის ყოველი დელეგატის ოცნება იყო გვენახა ვ. ი. ლენინი, მოგვესმინა მისი სიტყვები, — მოგვითხრობს ძველი ბოლშევიკი, ყრილობის დელეგატი ალექსანდრა არტიუხინა. — მოუთმენლად ველოდით მის გამოჩენას, თუმცა ისიც ვიცოდით, რარიგ სუსტად გრძნობდა თავს ვლადიმერ ილიას-ძე დაჭრის შემდეგ. და აი ეს ბედნიერი წუთიც დადგა. ყველაფერი ჩვეულებრივად, მაგრამ ამავე დროს არაჩვეულებრივად მოხდა. შეუმჩნევლად შემოსული ლენინი მოულოდნელად გამოჩნდა პრეზიდიუმში. დარბაზი ტაშია გრგვინავს შეაზანზარა.

შეძახილები, მისალმებანი დიდხანს არ წყდებოდა. მდუმარედ იდგა ვლადიმერ ილიას-ძე. მერე ხელი აღმართა, სიწყნარისაკენ მოუწოდა დარბაზს. ჩამოწვა სიჩუმე. ყველა ადგილზე გაიყინა. ლაპარაკობდა მშრომელი კაცობრიობის საყვარელი ბელადი... ლენინის სიტყვებმა დაუგიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, აღგვანთო, ახალი ენთუზიაზმი დაბადა. ახლა ჩვენ ყოველგვარი სიძნელის გადალახვა შეგვეძლო, ლენინის ძლიერი ხელებიდან მივიღეთ მანდატი საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

ამ მანდატით ხელში წლების მანძილზე საბჭოთა ქალმა ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა განვლო. ახლა, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა სამართლიანად ამაყობს სოციალისტური სამშობლოს შენების საქმეში მოპოვებული უჩვეულო წარმატებებით, იგი მამაკაცებთან მხარიმხარ მებრძოლი საბჭოთა ქალის ნათელი ჭკუა-გონებითა და გამრჯე მარჯვენითაც არის მოპოვებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თავიდანვე ყველა პირობას უქმნიდნენ და უქმნიან ქალს შრომისა და კულტურული ცხოვრებისათვის. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული სოციალიზმის მშენებლობის საქმე მხოლოდ მაშინ შეიძლება წინ წავწიოთ, როცა მთელ რუსეთში მშენებლობაში ასეულ ქალთა ნაცვლად მონაწილეობას მიიღებს მრავალი მილიონი ქალი. დღეს არ არის სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც ქალი არ იყოს აქტიური მონაწილე. ხოლო არის ისეთი დარგები, სადაც ქალის შრომა კიდევაც სჭარბობს მამაკაცის შრომას. საკმარისია ითქვას, რომ სახალხო მეურნეობაში ჩაბმულთა საერთო რიცხვიდან 40 პროცენტზე მეტი ქალია. მრეწველობაში ქალთა რიცხვი 45 პროცენტს აღემატება, რადიოტექნიკაში — 55 პროცენტს, სსრ კავშირში 1.500-ზე მეტი ქალი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. ათასობით ქალი ხელმძღვანელობს ბრიგადებს. განაგებს ფერმებს.

40.000-ზე მეტი ქალი ეწევა უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას, 25.000 ქალს აქვს სამეცნიერო ხარისხი. 650-ზე მეტ ქალს აქვს პროფესორის წოდება, არჩეული არიან მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილ წევრებად და წევრ-კორესპონდენტებად. დღეს მთელი კაცობრიობის წინაშე წარსდგა საბჭოთა ქალი როგორც ახალი საზოგადოების შეგნებული და აქტიური შემოქმედი, მამაცი, მტკიცე ნებისყოფის მქონე და სულიერი სილამაზით აღსავსე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის, ქალთა უფლებებისა და მომავალი თაობის ბედნიერებისათვის რუსი ხალხისა და მისი საუკეთესო ქალების გვერდით მთელ ქართველ ხალხთან ერთად იბრძოდნენ საქართველოს ქალებიც.

საქართველოს მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში სამუდამოდ შევიდნენ ბ. ბოჭორიძე — ლაშაძის, მ. ბოჭორიძის, ფ. გალდავას, ვ. ჯაფარიძის, ნ. ალაჯალოვას, ჯ. ხუტულაშვილის, ნ. ლომთათიძის, ნ. ქიქოძის, მ. ორახელაშვილის, მ. სუვოროვას, პ. ჩხატარაშვილის, ს. შავერდოვას, სონია და ალვასი თალაკვაძეების, ო. გაბუნიას, ნ. ჯიბუტის, ქ. კარაპეტოვას, ო. კალანდაძის, ე. ლეკვავას, ს. თოდრიას, ნ. ლელაშვილის, ო. პლიევას, თ. სახაკოევას, ა. ესაიანის, მ. ჩოდრიშვილის, ო. ხუბაევას, ე. მიქაძის, ნ. ხანოიანის, ქ. აბაშიძის, მ. და ი. ცინცაძეების და სხვათა სახელები.

1921 წლის მაისში მოწვეულიქნა საქართველოს მშრომელ ქალთა პირველი ყრილობა. 1922 წლის მაისში გაიმართა ამიერკავკასიის ქალთა პირველი ყრილობა, რომელიც გადაიქცა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების ქალთა მეგობრობის დიად დემონსტრაციად. ამიერკავკასიის ქალთა ყრილობაზე მიმდინარე მომენტის საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ს. მ. კიროვი. ყრილობამ შეაჯამა ქალთა შორის მუშაობის შედეგები და დასახა კონკრეტული ამოცანები შემდგომი მუშაობისათვის.

ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის დეპეშა:

„მივესალმები ამიერკავკასიის მშრომელ ქალთა ყრილობას. გმადლობთ არჩევისათვის. ჩამოსვლა ავადმყოფობის გამო არ შემიძლია.

ულიანოვი-ლენინი“.

ვ. ი. ლენინისა და რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი გაგზავნილ მისალმებებში დელეგატები ამიერკავკასიის მშრომელ ქალთა სახელით მტკიცე ფიცსა სდებდნენ, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებდნენ საბჭოთა სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

საბჭოთა კავშირის დიდ ოჯახში — სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ქალთა მხარდამხარ — ჩვენს ქალებსაც ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდნენ ქალთა ახალი თაობები, რომლებმაც შეძლეს უნარიანად შეეთავსებინათ დედის, მეუღლისა და საზოგადო მოღვაწის საპატიო მოვალეობა. ამერიკელ ქალმა მოიხვეჭა სახელი დღეს სახალხო მეურნეობის, განათლების, კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგში.

საბჭოთა ქალების ბრძოლისა და ცხოვრების მაგალითი გზას უნათებს მსოფლიოს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას, 80-ზე მეტი ქვეყნის 200 მილიონ ქალს რომ აერთიანებს თავის რიგებში, ქალთა უფლებების, ხალხთა შორის მშვიდობის დამყარებისა და ბავშვთა ბედნიერი მომავლისათვის რომ იბრძვის.

მუშა ქალთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის 40 წლისთავს საბჭოთა ქალები აღნიშნავენ ახალი მძლავრი აღმავლობის ვითარებაში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით ეცნობა სახალხო მეურნეობის განვითარების იმ დიად პროგრამას, რომელიც ასახულია პარტიის XXI ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში. ისინი ყველაფერს გააკეთებენ ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის.

მომავალ შვიდწლედში

1 კიდევ უფრო მეტად გაიზრდება მოსახლეობისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის, განსაკუთრებით იმ საქონლის მიყიდვა, რომელიც ამსუბუქებს ქალის შრომას ყოფაცხოვრებაში: სარეცხი მანქანების, ელექტროიატაკამწმენდების, მტვერსასრუტების, ელექტროუთოების, საყოფაცხოვრებო მაცივრების მიყიდვა.

2 დასახულია ამოცანა მნიშვნელოვნად გაფართოვდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სისტემა, გაუმჯობესდეს მათი მუშაობა და შემცირდეს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა პროდუქციის ფასები ეს კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს უფინარეს ყოვლისა მუშათა ოჯახების ბიუჯეტზე და შეამსუბუქებს მილიონობით ქალის შრომას.

ჩვენი მიზნის სიდიადეს
შეეხარის და მღერის ყველა;
გაანათა მან წყვდიადი,
დაატეხა დუშმანს ელვა!

ნახატი გ. მორჩაძისა.

საზღვარგარეთ

ყველაზე გაბედული ეკონომიური გამოწვევა ყველა გამოწვევათა შორის

ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიურ ურთიერთოგაში

ალჟირის ომი გრძელდება და ღრმავდება

ყველაზე გაბედული ეკონომიური გამოწვევა დასავლეთისადმი

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 17 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. გაზეთები განაგრძობენ თეზისების ვრცელი ამონაწერების გამოქვეყნებას.

გაზეთმა „რუდე პრავომ“ გუშინ გამოაქვეყნა მოწინავე სტატია, რომელშიც სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებს ახასიათებს როგორც გრანდიოზულ გეგმას.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თეზისები კაპიტალისტურ ქვეყნებს მოუწოდებენ მშვიდობიანი შეჯიბრებისათვის. ამ შეჯიბრების შედეგი ატომური აფეთქების რიცხვით კი არ უნდა გადაწყდეს, არამედ კაპიტალიზმთან შედარებით სოციალისტური მსოფლიო სისტემის უდაო უპირატესობით.

გაზეთი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირმა არათუ უკვე დიდი ხანია უკან მოიტოვა ევროპის ყველა სახელმწიფო, არამედ უკანასკნელ წლებში მთლიანი პროდუქციის უფრო მეტი აბსოლუტური მატება მოიპოვა, ვიდრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იმ დროს, როცა შეერთებული შტატები კრიზისის გამო კვლავ იწყებენ კუს ნაბიჯით წინსვლას, საბჭოთა კავშირი წინ მიდის და ტემპს აძლიერებს.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი. (საკდესი). კვირის გაზეთები „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ ფართო კომენტარს უკეთებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ. განყოფილებაში „ერთი კვირის მოვლენები“ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარების ახალი გეგმა წარმოადგენს „ყველაზე გაბედულ ეკონომიურ გამოწვევას ყველა გამოწვევათა შორის, რომლებიც რუსეთს როდისმე განუხორციელებია შეერთებული შტატებისა და დასავლეთის მიმართ“.

ჩამოთვლის რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი შვიდწლიანი გეგმის ზოგიერთ ამოცანას, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს: „უეჭველი გვეჩვენება, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიური ზრდა დასავლეთთან შედარებით გაგრძელდება“. გაზეთი იქვე აღნიშნავს, რომ ცნობამ საბჭოთა კავშირის განვითარების ახალი გეგმის შესახებ „დაადასტურა იმის რწმენა“, რომ სსრ კავშირს „განზრახული არ ჰქონდა ომი. საბჭოთა კავშირისათვის, განაგრძობს იგი, შემდეგშიც „საჭირო იქნება მშვიდობა თავისი მიზნების განსახორციელებლად“.

შემდეგ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები ძლიერ შთაბეჭდილებას მოახდენენ სხვა ქვეყნებზე და, უწინარეს ყოვლისა აზიისა და აფრიკის სუსტად განვითარებულ ქვეყნებზე. რუსეთი, რომელიც მხოლოდ 40 წლის წინათ ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, სწრაფი ეკონომიური განვითარების მაგალითი იქნება.

დაახლოებით ამავე სულისკვეთებით არის დაწერილი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტ ჰარი შვარცის სტატია. ავტორი აღნიშნავს, რომ რამდენიმე კვირის წინათ ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, როცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი გეგმის ციფრები ცნობილი გახდება, მსოფლიო გაოცდებაო. ამ მხრივ თქვა მან, ხრუშჩოვი მართალი გამოდგა. განცვიფრება გამოიწვია გაბედულმა ამოცანებმა, რომლებიც მან თავის მოხსენებაში დასახა.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა 1965 წლისათვის უნდა შეასრულოს, „სუნთქვას მიკრავს“. ამ გეგმების გრანდიოზულმა გაქანებამ, დაასკვნის გაზეთი, შეერთებულ შტატებს უნდა დაანახვოს, რომ მათს მსოფლიო სამრეწველო პირველობას საფრთხე მოელის.

ამასთან ერთად გაზეთი ერთსა და იმავე დროს ბეჭდავს ორ სტატიას, რომელთა ავტორები ცდილობენ „დამტკიცონ“, რომ საბჭოთა კავშირი შეერთებულ შტატებს ვერ გაუსწრებს ეკონომიური ძლიერების მხრივ.

იტალია

რომი, 16 ნოემბერი. (საკდესი). „მსოფლიო სრულიად იცვლის სახეს“ — ასეთი სათაურით გაზეთმა „უნიტამ“ გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. გაზეთი წერს: „დაიწყო კაპიტალისტურ სამყაროსთან შეჯიბრების გადამწყვეტი ფაზა, რომელშიც მოკლე ხნის განმავლობაში (10-15 წელიწადში) საბჭოთა კავშირი შეასრულებს ისტორიულ ამოცანას, რათა დაეწიოს და გაუსწროს შეერთებულ შტატებს — ბურჟუაზიის ამ ციტადელს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ამრიგად, მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო გადაიქცევა ყველაზე მძლავრ და ყველაზე მდიდარ ქვეყნად მსოფლიოში. მაგრამ მნიშვნელოვნად უფრო ადრე — დაახლოებით შვიდი წლის შემდეგ — მოხდება მეორე გადამწყვეტი მოვლენა — რომლის შედეგების წარმოდგენაც კი ახლა ძნელია: მთელი მსოფლიო სახეს იცვლის იმ მხრივ, რომ სრულიად შეიცვლება ძალთა თანაფარდობა. 1965 წლისათვის მსოფლიოს სამრეწველო წარმოების ნახევარზე მეტს უზრუნველყოფენ სოციალისტური ქვეყნები.

მორის ტორეზის მიმართვა

პარიზი, 16 ნოემბერი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტე-დიმანშმა“ დღეს გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მორის ტორეზის მიმართვა საფრანგეთის ამომრჩეველებისადმი.

მიმართვაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საფრანგეთის მთავრობას არ გადაუჭრია არც ერთი სერიოზული თანამედროვე პრობლემა.

„ალჟირის ომი გრძელდება და ღრმავდება, — ნათქვამია მიმართვაში. — სამხედრო ხარჯების უძირო უფსკრულში გადაყრილია 1555 მილიარდი. მეორე მხრივ კი ბინების, სკოლების, ლაბორატორიების ნაკლებობაა.

იწყება ეკონომიური კრიზისი. ჩნდება უმუშევრობა.

კონსტიტუცია კვეცავს პარლამენტის უფლებებს, რეაქციული საარჩევნო სისტემის მიზანია წაართვას მუშათა კლასს ყოველგვარი წარმომადგენლობა ეროვნულ კრებაში. განათლების სისტემის საერო ხასიათს ლახვარი ჩასცეს.

ჩვენი ქვეყანა კვლავ ექვემდებარება აგრესიულ ატლანტიკის ბლოკს. 1 იანვარს იგი უნდა შევიდეს „საერთო ბაზარში“, რომელიც რევანშისტულ დასავლეთ გერმანიას გაბატონებულ როლს ანიჭებს ევროპაში.

მთავრობაში წარმოდგენილი ყველა პარტია, სოციალისტებიდან პირწავარდნილ რეაქციონერებამდე, მხარს უჭერს ამ პოლიტიკას. მათ ისე მოაქვთ თავი, თითქოს დავობენ ერთმანეთთან მხოლოდ იმისათვის, რომ სცადონ მოატყუონ მშრომელები.

მოუწოდებს რა ამომრჩევლებს ხმა მისცენ „რეაქციის, სიღატაკისა და ომის ამ პოლიტიკის წინააღმდეგ“, მორის ტორეზი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნისტებისათვის ხმის მიცემით ამომრჩეველები ხმას მისცემენ „ხელფასის გადიდებას, 40 საათის სამუშაო კვირის დაბრუნებას ხელფასის შეუმცირებლად და მეწარმეთა მოგების ხარჯით უმუშევრობის გამო დახმარების გასაცემი ფონდის შექმნას!

დემოკრატიულ თავისუფლებათა პატივისცემას და რესპუბლიკის აღდგენას!

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲛᲝᲙᲠᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ

მოსკოვის ცენტრალურმა სატელევიზიო სტუდიამ მოამზადა გურჯაანელებისადმი მიმართული გადაცემა ნერია, მიძღვნილი ჩვენი ქვეყნის მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი, რომლებიც ღირსეული შრომითი საჩუქრებით ხვდებიან სკკპ XXI ყრილობას.

პირველი პროგრამით მორიგი გადაცემა მოეწყო ოქტომბერში. მოსკოვისა და ახლომდებარე ოლქების მილიონობით ტელემაყურებელმა ტელევიზორების ეკრანზე ნახა ულამაზესი ალაზნის ველი, რაიონული ცენტრი გურჯაანი, ხოფილ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის წევრებმა მოამზადეს ყრილობის შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს.

ტელემაყურებლებმა ნახეს, უყურძნის რა ზღაპრული მოსავალი მოიყვანეს ამ კოლმეურნეობის მევენახეებმა. გაეცნენ უყურძნის ხაუკეთესო ახალგაზრდა მკრეფავს ელენე წიკლაურს, ერთ-ერთ უხუცეს კოლმეურნეს ილია დანელიშვილს და კოლმეურნეობის სხვა მოწინავე ადამიანებს...

გურჯაანის რაიონული გაზეთი „საკოლმეურნეო შრომა“.



ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲩᲘᲜᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

1954 წელს ქართულ ენაზე გამოვიდა ინჟინერ გ. კოპალეიშვილის შრომა „სპეციალური ნაგებობანი მთის გზებზე“.

ეს შრომა წარმოადგენს ლექციების მოკლე შინაარსს, რომლებსაც ავტორი კითხულობს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის საავტომობილო გზების სპეციალობაზე.

აღნიშნული წიგნი გამოვიდა რუსულ ენაზე. შემდეგ ითარგმნა და გამოცემულ იქნა ჩინურ ენაზე.

სურათზე: გ. კოპალეიშვილის წიგნის ჩინური გამოცემის გარეკანი.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ბერლინი, 18 ნოემბერი. (საკდესი). აღნის სააგენტომ გამოაქვეყნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლქების სახალხო კრებების და დიდი ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრების არჩევნების წინასწარი შედეგები. ოლქების სახალხო კრებების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 11.660.932 კაცმა 11.793.365 კაციდან, ანუ იმ პირთა 98,88 პროცენტმა, რომელნიც საარჩევნო უფლებით სარგებლობენ. დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის კანდიდატებმა მიიღეს ნამდვილი ხმების 99,87 პროცენტი.

დიდი ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრების არჩევნებში მონაწილეობდა 854.412 კაცი 873.842 კაციდან, ანუ იმ პირთა 97,78 პროცენტი, რომელნიც საარჩევნო უფლებით სარგებლობენ. დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის კანდიდატებმა მიიღეს ნამდვილი ხმების 99,77 პროცენტი.

სპორტის ამბები

ფეხბურთის სექციის საიუბილეო პლენუმი

სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავსა და საქართველოს მსაჯთა კოლეგიის 35 წლისთავს მიეძღვნა ფეხბურთის რესპუბლიკური სექციის საიუბილეო პლენუმი, რომელიც 17 ნოემბერს გაიმართა თბილისის რკინიგზელის სახლში.

მოსმენილ იქნა სპორტის დამსახურებული ოსტატის ბ. პაიჭაძის მოხსენება თემაზე „სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავი“. საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ა. კრავჩენკომ ილაპარაკა ფეხბურთში საქართველოს მსაჯთა კოლეგიის 35 წლის მანძილზე ჩატარებულ მუშაობაზე.

პლენუმს მიესალმნენ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტიდან პ. მოშკარკინი, ს. რომანენკო (უკრაინა), შორდუხანოვი (აზერბაიჯანი), საქ. ფეხბ. ცენტრალური კომიტეტის სახელით თ. ბადურაშვილი და სხვ.

ფეხბურთის მოღვაწეთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია სიგელებით და სამკერდე ნიშნებით. დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ

რამდენიმე დღის საინტერესო ბრძოლის შემდეგ თბილისში დამთავრდა საქართველოს 1958 წლის პირველობის გათამაშება ფრენბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის.

ქალთა გუნდებს შორის პირველობის საკითხს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების მატჩი წყვეტდა. ჯამარჯვეს უნივერსიტეტის სპორტსმენებმა ანგარიშით 3 : 2 და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვეს.

ვაჟთა გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა.

გამარჯვებულებს გადაეცათ ჯილდოები.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის ზონაში გამარჯვებულ ფეხბურთელთა გუნდების მორიგი მატჩი. თამაშობდნენ როსტოვისა და ოდესის სამხედრო საოლქო სასპორტო კლუბების გუნდები. შეხვედრა დამთავრდა როსტოვის ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

⊙ გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკში სპორტის მრავალი მოყვარული ეწვრებოდა უზბეკეთისა და საქართველოს მოკრივეთა გუნდების ამხანაგურ შეჯახებას. რინგზე მიმდინარეობდა სხვადასხვა წონითი კატეგორიის მოკრივეთა შეუპყარი ბრძოლა. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 7 : 3 ქართველ სპორტსმენთა სასარგებლოდ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ივანე იოსების-ძე ღლინიანიშვილი დანიშნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავა გაანთავისუფლა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

ოპერისა და ბალეტის — პიკის ფალი (მე-2 აბონ. მე-3 სპექტ.), მარკოზ ნიშვილის სახელობის — სამსახეობანი რაინდისა, გრიბოედოვის სახელობის — ღვთის მოშიში მართა, სომხური დრამის — დიმიტრი თავდადებული (აბონ. № 9), სანკულტურის — ერთ ოჯახის ისტორია. მოზარდ მაყურებელთა ქართული — წითელქუდა (აბონ. № 10, 5 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — მშვენიერი ვასილისა (აბონ. № 10, 11, 12, 1 ს.), თოჯინების ქართული — ტყის მეგობრები (11 ს.), თოჯინების რუსული — ცეროდენა (აბონ. № 19, 1 ს.), ფილარმონიის საზამთრო — ქართული ესტრადა — მოსეშვილისა და სხვები მონაწილეობით, კონსერვატორიის დიდი დარბაზი — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. დირიჟორი ლილე კილაძე, სოლისტი მონიკა აზ (პარიზი), ცირკი — უკრაინის სახელმწიფო ცირკის გასტროლები.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი კომუნიკე

სსრ კავშირისა და ინდოეთის ეკონომიური ურთიერთობის გამო

წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა მეგობრული ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ატმოსფეროში, 1958 წლის 16 ნოემბერს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა სავაჭრო შეთანხმება სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის 5 წლის ვადით.

სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის 1953 წლის 2 დეკემბრის პირველმა კავაჭრო შეთანხმებამ დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების საქმეში და მნიშვნელოვნად გააფართოვა საქონლბრუნვა ამ ქვეყნებს შორის.

1958 წლის 16 ნოემბერს ხელმოწერილი ახალი სავაჭრო შეთანხმება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყნის მთავრობები განავითარებენ სავაჭრო ურთიერთობას და მაქსიმალურად შესაძლო დონემდე გაადიდებენ მათ შორის ვაჭრობის მოცულობას თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საწყისებზე, ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების საქმეში.

შეთანხმებაში გათვალისწინებულია, კერძოდ, ორივე ქვეყანას შორის ვაჭრობაში უმეტესი მფარველობის რეჟიმის ურთიერთ გამოყენება, აგრეთვე ანგარიშსწორების კლირინგის ფორმის დაწესება ისე, რომ არ მოხდეს უკონვერსია. ინდოეთის რუპიებისა, რომლებითაც იწარმოებს გადასახდელები, გირვანქა სტერლინგად ან სხვა ვალუტად, რაც შეესაბამება ორივე ქვეყნის მისწრაფებას: აწარმოონ ვაჭრობა დაბალანსებულ საფუძველზე უცხოეთის ვალუტის დაუხარჯავად.

სსრ კავშირიდან ინდოეთში საექსპორტო საქონლის სიაში შეტანილია სხვადასხვა სახეობის მოწყობილობა, მათ შორის კომპლექტური მოწყობილობა სამრეწველო საწარმოებისათვის, აგრეთვე ენერგეტიკული. ნავთობსაბურღავი მოწყობილობა, მოწყობილობა ქვანახშირის მრეწველობისათვის, მოწყობილობა საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობისათვის, სხვადასხვა ჩარხი და ინსტრუმენტი, ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, შავი ლითონების ნაგლინი, ფერადი ლითონები, სასუქი საღებარები, ცელულოზა, ქაღალდი, ასბესტი და სხვა სამრეწველო მასალები და ნაკეთობანი, ნავთობპროდუქტები, ბარცელონის პროდუქტები, კინოფილმები, პრესის ნაწარმოებნი და სხვა საქონელი.

ინდოეთიდან სსრ კავშირში საექსპორტო საქონლის სია შეიცავს ინდოეთის ექსპორტის ტრადიციულ მუხლებს, ისეთებს, როგორიც არის ჩაი, სანელებლები, ტყავის ნედლეული, მატყლი, თამბაქო, შელაქი, კაკალი, კვნიუ, მცენარეული და ეთეროვანი ზეთები, აგრეთვე სამრეწველო ნაწარმი, კერძოდ, ჯუთის ქსოვილები და ტომრები, ტყავის ნაწარმი, მათ შორის ფეხსაცმელი, შალის ქსოვილები, ქოქოსის ბოჭკოს ნაწარმი და შინამრეწველურ-მხატვრული ნაწარმი, კინოფილმები, პრესის ნაწარმოებნი და სხვა საქონელი.

მოლაპარაკების მსვლელობაში განხილულ იქნა საკითხები და მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ 1959 წელს ენიშნველოვნად გაფართოვდეს საბჭოთა კავშირიდან ინდოეთში მოწყობილობისა და სამრეწველო მასალების და ნაწარმის ექსპორტი საბჭოთა ორგანიზაციების მიერ ინდოეთის ექსპორტის შეაბამისი თანხის ტრადიციული საქონლის და ინდოეთის მრეწველობის მთელ რიგ ნაკეთობათა შესყიდვასთან შედარებით.

საბჭოთა მხარე აგრეთვე 1959 წელ, შეისყიდის ინდოეთის საქონელს. რასაც აანალიზებენ იმ სახსრებით, რომლებსაც საბჭოთა კავშირი იღებს ინდოეთისათვის წინათ მიცემული კრედიტების დასაფარავად.

მხარეები შეთანხმდნენ ხელი შეუწყონ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და ინდოეთის სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის საქმიანი კონტაქტის განმტკიცებასა და გაფართოებას ორივე ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი განვითარების მიზნით.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა, ინდოეთის მხრივ — ინდოეთის ელჩმა სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონმა.

შეთანხმების ხელმოწერის დროს საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა და ინდოეთის ელჩმა სსრ კავშირში კ. პ. შ. მენონმა სიტყვები წარმოთქვეს.

სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის ახალი სავაჭრო შეთანხმების დადების გამო საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ნ. ს. პატოლიჩევმა ვახშამი გამართა, რომელშიც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

უცხოეთის ქრონიკა

◆ მენის სააგენტო იმოწმებს ომდურმანის რადიოს ცნობას და იუწყება, რომ სუდანის შეიარაღებული ძალების სარდალმა გენერალმა იბრაჰიმ აბუდმა დაამხო აბდულ ჰალილის მთავრობა და საკუთარ ხელში აიღო ძალაუფლება. დათხოვნილია ყველა პოლიტიკური პარტია, აკრძალულია მიტინგები და დემონსტრაციები და შეზღუდულია გაზეთების გამოსვლა.

◆ როგორც ანტარის სააგენტო გადმოგვცემს, ინდონეზიის პარლამენტში დაიწყო კამათი ინდონეზიაში ჰოლანდიის საწარმოთა ნაციონალიზაციის თაობაზე მთავრობის კანონპროექტის შესახებ.

17 ნოემბერს კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ყველა დიდი პოლიტიკური პარტიის — ეროვნული, მაშუმი, ნახდატულ ულამი, კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებმა. ყველა გამოსულმა მოიწონა კანონპროექტი მთლიანად.

◆ 17 ნოემბერს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის თავმჯდომარეობით გაიმართა ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების მონაწილეთა მორიგი სხდომა.

თათბირის განსახილველად იყო: საბჭოთა კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი პროექტი შეთანხმებისა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ; ერთი მხრივ, სსრ კავშირის დელეგაციისა და, მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციების დღის წესრიგის გადასინჯული პროექტები; ინგლისის დელეგაციის დოკუმენტი საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს შექმნის შესახებ და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მუშა დოკუმენტი ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და საერთაშორისო საკონტროლო ორგანოს შექმნის შესახებ.

შთაგონებული ხელოვანი

ალ. ჟორჟოლიანის იუბილესათვის

ქართული კულტურის ისტორიაში საგულისხმოა ერთი ფაქტი: ჩვენს დრამატურგიასა და თეატრს კომედიურმა ჟანრმა დაუდო სათავე, და ეს არ არის შემთხვევითი.

ჯაბანი იუმორი, მოსწრებული სიტყვა, უარყოფითის სიცილით გაკიცხვის უნარი ქართული ეროვნული ხასიათის ერთი განუყრელი თვისებაა.

ჭირში გაუტეხელმა ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე შემოინახა ეს დიდებული ნიჭი, და ამის ერთი მაგალითია მკვირცხლ, კვიმატსიტყვიანი, ტურფა გურია, სადაც ამ 70 წლის წინ დაიბადა ქართული საბჭოთა თეატრის ის შესანიშნავი ოსტატი, ვისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავიც ასე გულთბილად აღნიშნა ქართველმა საზოგადოებრიობამ.

ხალხის სიყვარულს იოლად ვერავინ მოიპოვებს, მით უფრო ხელოვანი, რადგან ხელოვნება დიდ მსხვერპლს მოითხოვს თავის მსახურთაგან.

და ვინ იცის რამდენი შრომა, რამდენი გულის ცეცხლი დახარჯა ალექსანდრე ჟორჟოლიანმა, რომ ქართული თეატრალური ხელოვნების აღიარებული ოსტატი გამხდარიყო, რომ ერთ-ერთი უბრწყინვალესი სახასიათო მსახიობის საპატიო სახელი მოეპოვებინა.

ოცდაათი წლის მანძილზე ალექსანდრე ჟორჟოლიანი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მოღვაწეობს. იგი ერთი იმ სახელოვან ქართველ მსახიობთაგანია, ვინც მარჯანიშვილის ნიჭმა დაავალა. და დღეს ეს თეატრი ისევე წარმოუდგენელია უჟორჟოლიანოდ, როგორც ჟორჟოლიანი უამთეატროდ.

თავისი აქტიორული მოღვაწეობის მანძილზე სანდრო ჟორჟოლიანმა ორმოცდათხუთმეტამდე როლი განასახიერა, თეატრსა და კინოში შექმნა არა ერთი მხატვრული სახე, რომელიც ჩვენი ეროვნული თეატრის საგანძურში შევიდა და რომელიც დარჩება ქართული სასცენო ხელოვნების ისტორიაში აქტიორული შესრულების შესანიშნავ ნიმუშად.

ასეთია, მაგალითად, მისი ყვარყვარე თუთაბერი — ეს ტიპიზირებული ხასიათი უვიცი და უნიჭო, მაგრამ ეშმაკი ადამიანისა, რომელიც ბრძა შემთხვევის წყალობით ხალხის მბრძანებლად გახდომას ახერხებს. ასეთია მისი ბენაკიბა „ურიელ აკოსტადან“ —ეს უბადრუკი და გონებაჩლუნგი მეფავითნე, რომელიც პროგრესის დამუხრუჭებას ლამობს. ასეთებია მისი მოსე მწერალი შ. დადიანის „ნინოშვილის გურიიდან“, ხლოპოვი—გოგოლის „რევიზორიდან“, არგანი — მოლიერის „იქვით ავადმყოფიდან“ ან დარისპანი — კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირიდან“.

ა. ჟორჟოლიანის მიერ განსახიერებული მრავალი როლი პირდაპირ დაუვიწყარია. ასეთია, მაგალითად, მისი გოჩოლავა („ქაკალ გულში“), ხახულია („აპრაკუნე ჭიმჭიმელი“), ხანანია („იცა რიჟინაშვილი“), კირკიტა („ყამთაბერის ასული“), კერპაძე („სოლომონ ისაკიჩ მეჯოლუაშვილი“), ფოსტალიონი („მარინე“), იმერელი კოსტაია პიესიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და მრავალი სხვა.

მაგრამ რა დიდიც უნდა იყოს ა. ჟორჟოლიანის დამსახურება ქართული სცენის წინაშე, იგი თუმცა მთავარი, მაგრამ მაინც ერთი მხარეა მისი მოღვაწეობისა.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე მისი შემოქმედებითი მუშაობისა არის კინო.

ალექსანდრე ჟორჟოლიანი ქართული კინოს ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატია. 1925 წელს მოვიდა იგი კინემატოგრაფიაში, მაშინ, როდესაც ქართული საბჭოთა კინო ჯერ კიდევ თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა, და მას შემდეგ გამუდმებით მონაწილეობს ქართულ ფილმებში. კინოში მუშაობის 33 წლის მანძილზე ალ. ჟორჟოლიანი გადაღებულ იქნა რამდენიმე ათეულ ფილმში.

ა. ჟორჟოლიანის როგორც კინომსახიობის შემოქმედებითი წარმატებები უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია ისეთ ფართოდ ცნობილ ფილმებთან, როგორიც არის „დარიკო“, „უკანასკნელი მასკარადი“, „დაკარგული სამოთხე“, „ნარინჯის ველი“, „ვირვეული მეზობლები“, „პოეტის აკვანი“, „ბედნიერი შეხვედრა“, „გაზაფხული საკენში“, და სხვა მრავალი. სულ რამდენიმე დღეა, რაც ეკრანზე გამოვიდა ახალი ქართული ფილმი „მანანა“, სადაც ჩვენმა მაყურებელმა კვლავ იხილა საყვარელი მსახიობის ჩინებული თამაში.

რა ინდივიდუალური თვისებების წყალობით დაიმსახურა ალექსანდრე ჟორჟოლიანმა საყოველთაო აღიარება და ბრწყინვალე კომედიური მსახიობის სახელი?

ა. ჟორჟოლიანი, უპირველეს ყოვლისა, დიდი რეალისტი მსახიობია, იგი თვით შარჟულსა და გროტესკულ სახეებშიც კი ახერხებს მტკიცედ იდგეს სცენიური რეალიზმის ნიადაგზე. ჟორჟოლიანი ღრმა ფსიქოლოგია, რომელსაც შეუძლია სწორად ჩასწვდეს გმირის სულიერ განცდას და მართლად, დამაჯერებლად გადმოგვცეს მისი შინაგანი სამყარო. ა. ჟორჟოლიანი დაჯილდოებულია დიდი შინაგანი ტაქტით, რაც ესოდენ საჭიროა მსახიობისათვის. იგი მდიდარი ფანტაზიის პატრონია, დეტალების უმდიდრესი არსენალით, ფერების მდიდარი პალიტრით. ამიტომ ახერხებს იგი ამდენი ერთმანეთს მოუმსგავსებელი სახეების შექმნას, როლის მეტყველად და ლაკონიურად ხორცშესხმას.

ა. ჟორჟოლიანისადმი საყოველთაო სიყვარულის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ საიუბილეო დღეებში შესანიშნავმა ქართველმა მსახიობმა მიიღო გულთბილი მისალოცი დეპეშები მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებისაგან, რუსული სცენის გამოჩენილი ოსტატებისაგან ოხლოპკოვისაგან, იაბლოჩკინასაგან და სხვებისაგან.

ხელოვნებას არ უყვარს ნახევარგული, საქმისადმი ნახევრადერთგული ადამიანები. იგი მოითხოვს მთელ გულს, მთელ სიცოცხლეს. სანდრო ჟორჟოლიანმაც მთელი გული ანაცვალა ქართულ თეატრს, მთელი სიცოცხლე შესწირა მას. მაშ ვუსურვოთ ქართულ თეატრს, ქართველ მაყურებელს, რომ კიდევ დიდხანს ძგერდეს ეს მგზნებარე გული ქართული სცენისა და ჩვენი საბჭოთა კულტურის სასახელოდ.

გიორგი ციციშვილი.

სურათზე: ა. ჟორჟოლიანი მოსე მწერლის როლში (შ. დადიანის „ნინოშვილის გურია“).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების —